


სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2015 წლის ანგარიში

- *სამსახურის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები*

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უფლებამოსილებები განსაზღვრულია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებითა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის #606 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებით”.


საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ტერორიზმის დაფინანსებისა და მათთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენა და პრევენცია. კერძოდ, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენისა და მათი პრევენციის მიზნით, მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისგან იღებს, აანალიზებს და შესაბამისი დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, რომ გარიგება საეჭვოა და ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის ჩადენის მიზნით, დაუყოვნებლივ, სხვა ორგანოსგან ან პირისგან ნებართვის მიღების გარეშე, გადასცემს ამ ინფორმაციას და მის ხელთ არსებულ სათანადო მასალებს სამართალდამცავ ორგანოებს. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილებებთან ერთად, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, საზედამხედველო ორგანოები და მათი ვალდებულებები.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სტრუქტურა:



სამსახურის საშტატო ნუსხა და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დამტკიცებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 30 ოქტომბრის #387 ბრძანებით. აღნიშნული აქტის საფუძველზე საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია 32 საშტატო ერთეული. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში დასაქმებულთა გენდერული მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

გენდერული მონაცემები, 2015წ



- *სტატისტიკური მონაცემები და ტიპოლოგია*

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს წარმოადგენდნენ:

- ფინანსური ინსტიტუტები: კომერციული ბანკები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირები, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტები, საბროკერო კომპანიები და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები, სადაზღვევო კომპანიები და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლები; საგადახდო მომსახურების პროვაიდერები და სალიზინგო კომპანიები.


- არაფინანსური ინსტიტუტები: ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ორგანიზატორები, მათ შორის, სამორინეები (მათ შორის, ინტერნეტ სამორინეები); ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური, გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირები; ნოტარიუსები; საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევიან საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას და ადვოკატები.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს მიაწოდონ ანგარიშგების ფორმები მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებებთან დაკავშირებით. 2015 წელს სამსახურში შემოვიდა 159 175 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 972 ფორმა საეჭვო გარიგების (ოპერაციის) თაობაზე, ხოლო 158 203 ანგარიშგების ფორმა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვარს ზემოთ განხორციელებული ოპერაციის შესახებ.


გასული წლების ანალოგიურად, ინფორმაციის ძირითადი მოცულობა წარმოდგენილია კომერციული ბანკების მიერ - 85 309 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 565 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა. რაც შეეხება მონიტორინგის განმახორციელებელ სხვა


პირებს, აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილია 26 163 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 39 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; სადაზღვევო კომპანიებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების მიერ - 49, მათ შორის, 6 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; საბროკერო კომპანიების მიერ - 20, მათ შორის, 7 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების მიერ - 371, მათ შორის, 1 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ - 26 646; ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების მიერ - 51, მათ შორის 29 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; არასაბანკო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიერ - 89 ანგარიშგების ფორმა; საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ - 35 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 1 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; ნოტარიუსების მიერ - 5 320, მათ შორის, 1 საეჭვო გარიგების ანგარიშგების ფორმა; სამორინეების მიერ - 130; ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი პირების მიერ - 79; სალიზინგო კომპანიების მიერ 711 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 14 საეჭვო ანგარიშგების ფორმა; შემოსავლების სამსახურის მიერ - 4 934 და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ – 9 268 ანგარიშგების ფორმა, მათ შორის, 309 საეჭვო ანგარიშგების ფორმა.

გრაფიკულად 2015 წლის მანძილზე სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგების ფორმების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:




შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად ფინანსური (მათ შორის, კომერციული ბანკებიდან) და არაფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული ანგარიშგების რაოდენობის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:






თავის მხრივ, კანონმდებლობით განსაზღვრული მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, რომლებიც საქართველოს საფინანსო სექტორს წარმოადგენენ, 2016 წლის 1 იანვრისთვის მოიცავდა: 19 კომერციულ ბანკს, 17 საკრედიტო კავშირს, 68 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, 15 სადაზღვევო ორგანიზაციასა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს და 8 საბროკერო კომპანიას, 3 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, 39 ფულადი გზავნილის განმახორციელებელ პირს, 1120 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, 5 სალიზინგო კომპანიას და 17 საგადახდო მომსახურების პროვაიდერს.


მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, რომლებიც საქართველოს საფინანსო სექტორს წარმოადგენენ, 2016 წლის 1 იანვრისთვის



კანონმდებლობით განსაზღვრული მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, რომლებიც საქართველოს არასაფინანსო სექტორს წარმოადგენენ და აღრიცხვაზე არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, 2016 წლის 1 იანვრისთვის მოიცავდა: 290 ნოტარიუსს, 317 ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომწყობ პირს, 43 აუდიტორულ კომპანიას, 26 სამორინეს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, შემოსავლების სამსახურს (საბაჟო ორგანო) და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრ ადვოკატებს.



საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში გასულ წლებთან შედარებით 2015 წელს შემოსული ინფორმაციის საერთო მოცულობის ცვალებადობის ტენდენცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:




აღსანიშნავია, რომ 2015 წელს შენარჩუნდა გასულ წლებთან შედარებით კომერციული ბანკებიდან საეჭვო გარიგებების ამსახველი ანგარიშგებების რაოდენობის კლების ტენდენცია, რაც განპირობებულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ინტენსიური კონსულტაციებით შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტებთან. საანგარიშო წლის მანძილზეც მონიტორინგის განმახორციელებელ პირებთან გაგრძელდა მეთოდოლოგიური საკონსულტაციო შეხვედრები, სემინარები; გამოიცა სხვადასხვა მეთოდური მითითება, რაც ხელს უწყობდა საეჭვო გარიგებების შესახებ ანგარიშგებებში მოცემული ინფორმაციის ხარისხობრივ სრულყოფას და სამსახურში გამოგზავნილი საეჭვო გარიგებების ამსახველი ანგარიშგებების რაოდენობის ოპტიმიზაციას. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულმა გავლენა მოახდინა სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სამართალდამცავ ორგანოებში გაგზავნილი საქმეების რაოდენობის ზრდის ტენდენციაზე, რომელიც, 2014 წლის მსგავსად, კვლავ შენარჩუნდა საანგარიშო პერიოდში.

2015 წელს მიღებული ანგარიშგების ფორმების ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა გამოავლინა და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს გადასცა 103 საქმე (მათ შორის, 7 ტერორიზმის შესაძლო დაფინანსების სავარაუდო შემთხვევებზე).

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გასულ წლებთან შედარებით 2015 წელს სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაგზავნილი საქმეების რაოდენობის ზრდის ტენდენცია შემდეგნაირად გამოიყურება:

გადაგზავნილი საქმეების რაოდენობის დინამიკა



საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგებების, მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისგან დამატებით გამოთხოვილი ინფორმაციის, სხვადასხვა ქვეყნების ანალოგიური სამსახურებიდან მიღებული და ღია წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ, 2014 წლის მსგავსად, 2015 წლის მანძილზე კვლავ აქტუალურ ტენდენციად რჩებოდა თაღლითური თუ არაავტორიზებული გზებით მოპოვებული თანხების ჩარიცხვა/გადარიცხვა სხვადასხვა ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების გამოყენებით და ამ თანხების ლეგალიზაციის მცდელობის ფაქტები. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სამართალდამცავ უწყებებში გადაგზავნილი საქმეების უმრავლესობა სწორედ მსგავს ქმედებებთანაა დაკავშირებული.

წინა წლებთან შედარებით, 2015 წელს მეტი გავრცელება ჰპოვა საქართველოში რეგისტრირებული თუ საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებში ანგარიშების მქონე იურიდიული პირების კომპიუტერულ სისტემებში უკანონო შეღწევებმა, რის შედეგადაც აღნიშნული კომპანიების კომუნიკაცია მათ ბიზნეს-პარტნიორებთან ხვდებოდა სამართალდამრღვევთა კონტროლის ქვეშ. ამის შემდგომ გაყალბებული საგადახდო დავალებების გამოყენებით თანხა გადაირიცხებოდა პოტენციური მსხვერპლის საქართველოში განთავსებული ანგარიშიდან უცხოეთში, რის შემდეგაც ხდებოდა თანხის განაღდება, ხოლო თაღლითური ანგარიშის მფლობელთან დაკავშირება ვეღარ ხერხდებოდა.

ასევე შენარჩუნდა უცხოეთიდან სავარაუდოდ თაღლითური გზით მოპოვებული თანხების საქართველოს ბანკებში არსებულ ანგარიშებზე ჩარიცხვების ტენდენცია. რიგ შემთხვევებში აღნიშნული ჩარიცხვები ხორციელდებოდა წინა წლებში გამოცდილი სქემის ასამოქმედებლად, როდესაც ჩარიცხული თანხის განაღდება ხდებოდა რეზიდენტი თუ არარეზიდენტი პირების მიერ, ცალკეულ შემთხვევაში კი თანხის ადრესატები იყვნენ საქართველოში გახსნილი ანგარიშების მფლობელი იურიდიული თუ ფიზიკური პირები, რომელთა დეკლარირებული საქმიანობა გახლდათ ვალუტითა და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, სხვადასხვა ფინანსური მომსახურება, ინვესტიცია, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული კონსულტაციები და ა.შ. ასეთ შემთხვევებში ანგარიშზე ჩარიცხული თანხების უდიდესი ნაწილი მალევე გადაირიცხებოდა მესამე

ქვეყნის საბანკო დაწესებულებებში, ხოლო საქართველოს ფინანსური ინსტიტუტების სახელზე გადმომრიცხავისგან მოდიოდა მოთხოვნა თანხის დაბრუნების თაობაზე.

2015 წელს სამართალდამცავ ორგანოებში გადაცემული საქმეების გარკვეული ნაწილი მოიცავდა უცხოეთში უკანონო გზით დაუფლებული პლასტიკური საბანკო ბარათების ან მათზე დატანილი ინფორმაციის გამოყენებით საქველმოქმედო თუ კომერციული იურიდიული პირების (სახელოსნო, მაღაზია, კვების ობიექტი და ა.შ.) საშუალებით თანხების თაღლითურად განაღდებისა და მითვისების მცდელობებს.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წლის მანძილზე სამართალდამცავ ორგანოებს გადაეცა რამდენიმე საქმე, რომლებიც შეიცავდა შესაძლო კორუფციის ნიშნებს. ასევე სამსახურის მიერ გამოვლენილი რამდენიმე შემთხვევა ეხებოდა საქართველოში მოქმედი კომპანიების თანამშრომლების მიერ ამ ფირმების კუთვნილი თანხების უკანონოდ, თაღლითურად მითვისების მცდელობებს, რისი აღმოჩენაც განხორციელდა შესაბამისი საბანკო დაწესებულებების ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული თანმიმდევრული ანალიზის შედეგად.

- ***ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა***

2015 წელს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო ინტენსიური თანამშრომლობა საზედამხედველო ორგანოებთან - საქართველოს ეროვნულ ბანკთან, საქართველოს იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებთან, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან. მონიტორინგის განმახორციელებელი პირების შემოწმების მომზადებასა და ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით საზედამხედველო ორგანოებთან ხორციელდება ინფორმაციის ურთიერთგაცვლა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო საკონსულტაციო შეხვედრები მონიტორინგის განმახორციებელ პირებთან, ამ უკანასკნელთა მიერ მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. 2015 წელს ზედამხედველ ორგანოებთან კოორდინირებულად ტრენინგ-სემინარები გაიმართა კომერციული ბანკებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების წარმომადგენლებთან, ადვოკატებთან, ნოტარიუსებთან, აუდიტორებთან და დამოუკიდებელ ბუღალტრებთან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის მიერ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით შემუშავდა და გამოიცა სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის ფულის გათეთრების პრევენციული ზომების თაობაზე, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციული კანონმდებლობის მოთხოვნების თაობაზე ადვოკატთა ცნობადობის ამაღლებას.

აღსანიშნავია, რომ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის ადგილობრივი თანამშრომლობის შემდგომი ხელშეწყობის მიზნით, 2015 წლის 21 სექტემბერს სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელების მიერ ხელი მოეწერა „სამართალდამცავ სფეროში


უწყებათშორისი თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლების შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმს. აღნიშნული მემორანდუმი წარმოადგენს 2013 წელს გაფორმებული ანალოგიური შეთანხმების განახლებულ ტექსტს და ითვალისწინებს დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყობას კოორდინირებული, ოპერატიული და მოქნილი უწყებათშორისი თანამშრომლობის გზით.

საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინირებულად გაგრძელდა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მონაწილეობა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების იმპლემენტაციის პროცესში. 2015 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამუშაო ჯგუფის, ასევე ევროკავშირის შესაბამისი საშემფასებლო მისიის ექსპერტებთან შეხვედრებში. აღსანიშნავია, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციის სფეროში ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით (როგორც საკანონმდებლო, ასევე საიმპლემენტაციო ფაზით) გათვალისწინებული ყველა რეკომენდაცია წარმატებით შესრულდა და ამ მიმართულებით სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა ევროპული მხარის მიერ პოზიტიურად შეფასდა.

2015 წელს საქართველოს ფინანსური მონტორინგის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ასევე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და მისი შესრულების კოორდინაციის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს მუშაობაში.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური აგრძელებს კოოპერირებულ საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან. 2015 წელს სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურებიდან მიღებული იყო 36 შეკითხვა და ყველა მათგანზე გაიცა შესაბამისი პასუხი. თავის მხრივ, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ უცხოელ კოლეგებთან გაგზავნილ იქნა 49 შეკითხვა, რომელთაგან პასუხი 44-ზე იქნა მიღებული.

მიღებული და გაგზავნილი შეკითხვები 2012–2015წწ.



უცხო ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, 2015 წლის მანძილზე ურთიერთგაგების მემორანდუმები საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გაფორმებულ იქნა უნგრეთის, პორტუგალიისა და თურქმენეთის ანალოგიურ სამსახურებთან. 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს გაფორმებული აქვს თანამშრომლობისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესახებ მემორანდუმი 39 ქვეყნის ანალოგიურ სამსახურთან.

2015 წლის ნოემბერში თურქმენეთში ეუთო-ს ოფისის ორგანიზებით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს სასწავლო ვიზიტით ეწვია თურქმენეთის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ თურქმენეთის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, ცენტრალური ბანკის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ თურქმენი კოლეგებისთვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში გამოცდილების გაზიარება.

საანგარიშო წლის მანძილზე სამსახური განაგრძობდა თანამშრომლობას საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან. 2015 წლის დეკემბერში ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტის 49-ე პლენარულ სხდომაზე აღიარებულ იქნა საქართველოს მნიშვნელოვანი პროგრესი ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების შესრულების კუთხით. კერძოდ, კომიტეტმა განიხილა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ზედამხედველ ორგანოებთან კოორდინირებულად მომზადებული 2012-2015 წლების პროგრესის ანგარიში და დაადასტურა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმატებით განხორციელდა 2012 წლის საერთაშორისო სავალუტო ფონდის საშემფასებლო მისიის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები. ამავე სხდომაზე MONEYVAL-ის კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რეგულარული მონიტორინგის (follow-up) პროცესიდან საქართველოს ამოღების თაობაზე.

- ***საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა***

2015 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირებულად გაგრძელდა მუშაობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სრულყოფის მიმართულებით.

„დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (საქართველოსთვის ძალაშია 2014 წლის 1 მაისიდან) მოთხოვნების იმპლემენტაციის მიზნით, ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დიალოგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მომზადდა კანონის პროექტი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც ითვალისწინებდა სსიპ

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გარიგების აღსრულების შეჩერების უფლებამოსილების მინიჭებას და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების შესაბამისი ვალდებულებების რეგლამენტაციას. აღნიშნული კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2015 წლის 3 ივლისს და ამოქმედდა იმავე წლის 31 ივლისიდან. აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით მინიჭებული გარიგების აღსრულების შეჩერების უფლებამოსილება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საანგარიშო წლის მანძილზე გამოყენებულ იქნა ერთხელ.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ წარმატებით გახორციელდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის #236 დადგენილებით დამტკიცებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით 2015 წლისთვის დაგეგმილი ღონისძიებები.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, 2015 წლის მანძილზე გაგრძელდა მუშაობა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიების განახლების მიმართულებით. ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიების შედგენა ხორციელდება ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფისა (FATF) და გაეროს ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ მიმართული სანქციების კომიტეტების (შეიქმნა გაეროს უშიშროების საბჭოს #1267 (1999) და #1988 (2011) რეზოლუციების საფუძველზე) რეზოლუციების საფუძველზე. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საანგარიშო წლის მანძილზე გაეროს შესაბამისი კომიტეტის გადაწყვეტილებების საფუძველზე მუდმივად შედიოდა ცვლილებები და დამატებები ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიებში. ზემოაღნიშნული ბრძანებები გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდზე და მიეწოდა მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს. აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების მიზანია გაეროს ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ მიმართული სანქციების კომიტეტების მიერ დამტკიცებულ სიებთან ადგილობრივი კანონმდებლობის სრული თავსებადობის უზრუნველყოფა.

- ***ტრენინგები და სემინარები***

2015 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები განაგრძობდნენ მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო ტრენინგსა თუ სემინარში, ასევე ესწრებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით გამართულ შესაბამის შეხვედრებს. კერძოდ, სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ:

- 2015 წლის 9 - 13 მარტს დილიჟანში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემფასებელ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტის ორგანიზებით მეხუთე რაუნდის შემფასებლებისათვის გამართულ ტრეინინგ-სემინარში;

- 2015 წლის 9-13 მარტს ყვარელში აშშ-ს საელჩოს მიერ ორგანიზებულ ფულის გათეთრების გამოძიების და დევნის შესახებ ორგანიზებულ სამუშაო ტრენინგში;
- 2015 წლის 31 მარტი - 1 აპრილს აშხაბადში რეგიონთაშორისო სემინარში „ელექტრონული ფულისა და ვირტუალური ვალუტის გამოყენებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზებასთან დაკავშირებული დანაშაულის გამოვლენა და გამოძიება“;
- 2015 წლის 22 - 26 ივნისს ერევანში გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) ცენტრალური აზიის რეგიონული წარმომადგენლობის მიერ მოწყობილ მე-3 პლენარულ შეხვედრაში „ორგანიზებული დანაშაულიდან მიღებული შემოსავლის გამოვლენის, განკარგვის აკრძალვის, კონფისკაციისა და დაბრუნების მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში გამოცდილების გაზიარება“;
- 2015 წლის 29-30 ივნისს ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ორგანიზებით თბილისში გამართულ ვორქშოპში „სისხლის სამართლებრივი და ფინანსური გამოძიების შესახებ“;
- 2015 წლის 21 - 23 ივლისს ვენაში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, ექსპორტის კონტროლის და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში;
- 2015 წლის 17-18 ნოემბერს ვარშავაში ჩატარებულ სემინარში „კორუფციიდან გამომდინარე ფულის გათეთრებასთან ბრძოლა“.